ბესსს-ის ეთიკის კოდექსის გამოკვლევა

ნაწილი 4: კონცეპტუალური მიდგომა - ნაბიჯი 3, საფრთხეებზე რეაგირება

ბესსს-ის ეთიკის კოდექსი პროფესიონალ ბუღალტრებს ეხმარება შეასრულონ თავიანთი პასუხისმგებლობა - იმოქმედონ საზოგადოებრივი ინტერესების სასარგებლოდ. კოდექსი ქმნის კონცეპტუალურ საფუძვლებს (სამეტაპიან მიდგომას), რომელიც ყველა პროფესიონალმა ბუღალტერმა უნდა გამოიყენოს იმისათვის, რომ დაადგინოს და შეაფასოს ეთიკის ძირითადი პრინციპების დაცვის მიმართ შექმნილი საფრთხეები და მოახდინოს მათზე სათანადო რეაგირება.

ბესსს-ის ეთიკის კოდექსის გამოკვლევის პირველ ნაწილში განმარტებულია კოდექსის ხუთი ძირითადი პრინციპი. მეორე ნაწილში გამოკვეთილია კონცეპტუალური მიდგომის სამი ეტაპი. მასში აგრეთვე განხილულია, თუ როგორ უნდა გამოავლინონ პროფესიონალმა ბუღალტრებმა ეთიკის ძირითადი პრინციპების დაცვის მიმართ შექმნილი საფრთხეები. მესამე ნაწილი კი ორიენტირებულია საფრთხეების შეფასებაზე, მათ შორის როგორ უნდა მოხდეს გონიერი და ინფორმირებული მესამე მხარის ტესტის გამოყენება, რათა განისაზღვროს არის თუ არა გამოვლენილი საფრთხე მისაღების დონის. შემდეგი ნაბიჯია იმ საფრთხეებზე რეაგირება, რომლებიც მისაღებ დონეს სცილდება.



თუ პროფესიონალი ბუღალტერი დაადგენს, რომ გამოვლენილი საფრთხე სცილდება მისაღებ დონეს, რეაგირების მიზნით მან:

- თავიდან უნდა მოიცილოს საფრთხის გამომწვევი გარემოებები, მათ შორის ინტერესები ან ურთიერთობები;
- უნდა გაატაროს დამცავი ზომები (თუ ასეთი არსებობს) საფრთხის (საფრთხეების) მისაღებ დონემდე შესამცირებლად; ან
- უარი უნდა თქვას ან შეწყვიტოს შესაბამისი პროფესიული საქმიანობა ან გარიგება, რომელიც აღნიშნულ საფრთხეს (საფრთხეებს) წარმოქმნის.

პროფესიონალ ბუღალტრებს აკისრიათ მუდმივი ვალდებულება შეინარჩუნონ სიფრთხილე ფაქტებისა და გარემოებების ისეთ ცვლილებებთან მიმართებით, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს იმის შეფასებაზე, თუ როგორია საფრთხის დონე და რამდენად შესაფერისია დამცავი ზომები. თუ ასეთი ცვლილება მოხდება, პროფესიონალმა ბუღალტერმა ხელახლა უნდა შეაფასოს საფრთხე და შესაბამისი რეაგირება მოახდინოს მასზე.

საფრთხეებზე რეაგირება: მესამე ნაწილიდან გავიხსენოთ, თუ როგორ მოხდა საფრთხეების დონის შეფასება. რა ზომების მიღება შეეძლო საერთაშორისო სამრეწველო საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკაზე პასუხისმგებელ დირექტორს იმ საფრთხეებზე რეაგირების მიზნით, რომლებიც არ არის მისაღები დონის?

აღმასრულებელმა დირექტორმა წარმოადგინა ერთ-ერთ განვითარებად ბაზარზე საქმიანობის დაწყების გეგმა. თქვენ, როგორც დირექტორი სააღრიცხვო პოლიტიკის საკითხებში, არ ხართ დარწმუნებული, რომ მისი გეგმა შეესაბამება მექრთამეობისა და კორუფციის შესახებ ადგილობრივი კანონების მოთხოვნებს.

კომპანიამ ახლახანს დაკარგა სტრატეგიულად მნიშვნელოვან ქვეყანაში ბაზრის წილი, რის შედეგადაც მისი აქციების საბაზრო ღირებულება შემცირდა 10%-ით. მომგებიან ბაზარზე შესვლის ახალი სარწმუნო გეგმა აკმაყოფილებს დირექტორთა საბჭოსა და აქციონერთა მოთხოვნებს. ამასთან, აღმასრულებელი დირექტორი დაგპირდათ საკმაოდ მაღალ ბონუსებს, თუ თქვენი გუნდი „საქმეს გააკეთებს, ნებისმიერ ფასად.“

თქვენ გადახედეთ კორეპონდენციებს ელფოსტაზე - ზოგიერთი წერილიდან ჩანს, რომ განხორციელდა თანხების გადარიცხვა გარე საბანკო ანგარიშებზე სამიზნე ქვეყანაში, იმ დროს, როდესაც ახალი ბიზნესგეგმა მუშავდებოდა.

დირექტორმა მიმართა კონცეპტუალურ მიდგომას. გონიერი და ინფორმირებული მესამე მხარის ტესტის გამოყენებით მან სისტემურად განიხილა საფრთხის თითოეული კატეგორია, რათა დაედგინა, რომ ქვემოთ წარმოდგენილი საფრთხეები არ არის მისაღები დონის.

ანგარება - დიდი ოდენობის ბონუსის მიღების დაპირების შედეგად დირექტორმა შესაძლოა თავი შეიკავოს ელფოსტაზე აღმოჩენილი წერილების საკითხების გამოძიებისაგან, ნაკლებად ობიექტური გახდეს სიტუაციის შეფასებისას, ან ნაკლები ყურადღებით მიუდგეს ანტიკორუფციული კანონების შესწავლის საკითხს.

ფამილიარული ურთიერთობები - შესაძლოა დირექტორი „ზედმეტად დაახლოებულია“ მოცემულ სიტუაციასთან და განწყობილია, რომ აღმასრულებელი დირექტორის გეგმას დაეთანხმოს, უსიტყოდ სჯერა მისი და დარწმუნებულია კომპანიაში გადაწყვეტილებების მიღების პროცესის სანდოობაში.

შანტაჟი - აღმასრულებელი დირექტორის მიდგომით - „ნებისმიერ ფასად“ - და უბრალოდ „მართალი“ პასუხის ძიებაში შესაძლოა დირექტორი წნეხის ქვეშ მოექცეს.

საფრთხეები, რომლებიც ექმნება პატიოსნების, ობიექტურობის, პროფესიული კომპეტენციის, სათანადო გულისხმიერებისა და პროფესიული ქცევის პრინციპებს.

სად მივიღებთ დამატებით ინფორმაციას?

კონცეპტუალური მიდგომა წარმოდგენილია კოდექსის 1-ელი ნაწილის 120-ე განყოფილებაში. კონცეტუალური მიდგომის გამოყენებასთან დაკავშირებული დამატებითი დებულებები წარმოდგენილია კოდექსის მე-2, მე-3, 4ა და 4ბ ნაწილების მე- 200, მე-300, მე-400 და მე-900 განყოფილებებში, შესაბამისად.

დამცავი ზომები არის პროფესიონალი ბუღალტრის მიერ ინდივიდუალურად ან ერთობლივად განხორციელებული ქმედებები, რომლებიც, ფაქტობრივად, მისაღებ დონემდე ამცირებს ძირითადი პრინციპების დაცვის მიმართ შექმნილ საფრთხეებს.

საფრთხეებზე რეაგირების შესაძლო ზომები

ამ საფრთხეების აღმოფხვრა შესაძლებელია გაფართოების გეგმის გაუქმებით (იგი არ ექვემდებარება დირექტორის კონტროლს) ან კომპანიაში პროფესიულ საქმიანობაზე საკუთარი სურვილით უარის თქმით (თუმცა, ამგვარი ქმედება ამ ეტაპზე ნაადრევია).

მეორე მხრივ, საფრთხეების შესამცირებლად დირექტორს შეუძლია ისეთი პოტენციური დამცავი ზომების განხილვა, რომლებიც გონიერ და ინფორმირებულ მესამე მხარეს აფიქრებინებდა, რომ დირექტორი ამგვარი ქმედებით კოდექსის ხუთ ძირითად პრინციპს იცავს.

1. **შესთავაზეთ აღმასრულებელ დირექტორს, უზრუნველყოს პროცესებში საბჭოს ჩართულობა/საბჭოსთან კონსულტაციები:** საბჭოს ჩართულობა უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიღების პროცესზე დამოუკიდებელ ზედამხედველობას, ასევე რისკების შეფასებისა და მართვისას სათანადო გულისხმიერებისა და ობიექტურობის შენარჩუნებას.
2. **გაიარეთ იურიდიული კონსულტაცია თქვენს ქვეყანაში ცნობილ კომპეტენტურ გარე იურისტებთან:** იმ ექსპერტების ჩართულობა, რომლებიც აღმასრულებელი დირექტორის გუნდის წევრები არ არიან, ეფექტური შემაფერხებელი ფაქტორია იმისა, რომ გადაწყვეტილებების მიღებისას გულდასმით არ განიხილავთ ყველა ფაქტსა და მტკიცებულებას (მათ შორის ელექტრონულ წერილებს), რომლებიც დაკავშირებულია შესაბამისი კანონების დაცვასთან.

ამ მხარეებიდან ნებისმიერის ჩართულობით შესაძლებელია პერსპექტივის „უცხო თვალით“ დანახვა, რაც, თავის მხრივ, ზრდის ობიექტურობის, გამჭვირვალობისა და ზედამხედველობის დონეს. შესაბამისად, ამგვარი მიდგომით გადაწყვეტილების მიმღები პირები უფრო მეტად გახდებიან იძულებულნი, იმოქმედონ ობიექტურად და მოახდინონ პროფესიული ქცევის, პატიოსნების, პროფესიული კომპეტენციისა და სათანადო გულისხმიერების პრინციპების დაცვის დემონსტრირება. დირექტორმა შესაძლოა მიზანშეწონილად მიიჩნიოს ერთი ან რამდენიმე ზემოაღნიშნული ან სხვა დამცავი ზომის გამოყენება.

ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) თანხმობით მის მიერ ინგლისურ ენაზე გამოცემული დოკუმენტი „ბესსს-ის ეთიკის კოდექსის გამოკვლევა - ნაწილი 4: კონცეპტუალური მიდგომა - ნაბიჯი 3, საფრთხეებზე რეაგირება“ ქართულ ენაზე ითარგმნა და გამოქვეყნდა საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის მიერ. IFAC-ის მიერ დამტკიცებულ ტექსტს წარმოადგენს მის მიერ გამოცემული ინგლისურენოვანი ვერსია. IFAC არ იღებს პასუხისმგებლობას თარგმანის სისწორესა და სისრულეზე ან მისგან გამომდინარე ნებისმიერ ქმედებაზე.

„ბესსს-ის ეთიკის კოდექსის გამოკვლევა - ნაწილი 4: კონცეპტუალური მიდგომა - ნაბიჯი 3, საფრთხეებზე რეაგირება“ - ინგლისურენოვანი ვერსია © [2020], IFAC. ყველა უფლება დაცულია.

„ბესსს-ის ეთიკის კოდექსის გამოკვლევა - ნაწილი 4: კონცეპტუალური მიდგომა - ნაბიჯი 3, საფრთხეებზე რეაგირება“ - ქართულენოვანი ვერსია © [2020], IFAC. ყველა უფლება დაცულია.

სათაური ინგლისურ ენაზე: Exploring the IESBA Code Installment 4 - The Conceptual Framework, Step 3, Addressing Threats

წინამდებარე დოკუმენტის გავრცელების, შენახვისა და გადაცემის, ან ნებისმიერი სხვა სახით მისი გამოყენების თაობაზე დაუკავშირდით IFAC-ს: Permissions@ifac.org